თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი

ბრძანება

12/12/2024

MES 4 24 0001604750

სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სარეზიდენტო პროგრამებით მზადებისა და სპეციალობის მაძიებელთა რეგისტრაციასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხების მოწესრიგების თაობაზე

“უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, “საექიმო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-15 მუხლის, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 9 აპრილის # 135/ნ და 2014 წლის 4 თებერვლის #01-6/ნ ბრძანებების, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს ოქმების, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2010 წლის 3 მაისის #24/8, 2010 წლის 14 ივნისის #24/10, 26 ნოემბრის #24/3, 2011 წლის 28 ოქტომბრის #24/2 ოქმებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 27 მაისის #23/5 (შეტანილი ცვლილება #23/8 27.12.2013), 15 ივნისის #23/6 და 17 დეკემბრის #23/10, 2011 წლის 31 ოქტომბრის #23/8, 2012 წლის 20 მარტის #23/4 დადგენილებებით დამტკიცებული “თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში რეზიდენტურაში ჩარიცხვის წესი“-სა და შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტის დირექტორის ზაზა ბოხუას 2024 წლის 12 დეკემბრის N1604354 წერილის გათვალისწინებით,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს საექიმო სპეციალობის მაძიებელთა რეგისტრაცია რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) სარეზიდენტო პროგრამებში მზადებისათვის (დანართის მიხედვით).

2. აკრედიტებულ სარეზიდენტო პროგრამაში მონაწილეობის მსურველთა რეგისტრაცია განხორციელდეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 4 თებერვლის #01-6/ნ ბრძანების „სარეზიდენტო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად, 2024 წლის 13 დეკემბრის 13 საათიდან 19 დეკემბრის 13 საათის ჩათვლით თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვებ-გვერდის საშუალებით – www.tsmu.edu/registracia.

3. წინამდებარე ბრძანების მე-2 პუნქტით განსაზღვრული წესით, რეგისტრაციის ჩატარების პროცესის და კონკურსის მიმდინარეობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა დაევალოს

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფის სამსახურის ცოდნის მართვისა და პროგრამული უზრუნველყოფის ჯგუფს.

4. დაევალოს თსსუ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს (გ. ჭიჭინაძე) წინამდებარე ბრძანების განთავსება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

5. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტის დირექტორს (ზ.ბოხუა).

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

7. ბრძანება დაეგზავნოს: კანცლერს, ვიცე-რექტორს (რ.რუხაძეს), დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტის დირექტორს (ზ. ბოხუა), საინფორმაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს (გ. დონაძე), ცოდნის მართვისა და პროგრამული უზრუნველყოფის ჯგუფის უფროსს (დ. გვასალია), პროგრამის დირექტორებს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს.

დანართი

1. **1. „შინაგანი მედიცინა“ -** საკონკურსო ადგილი - 3
2. **2. „კარდიოლოგია“ -** საკონკურსო ადგილი - 4

მათ შორის:

2 (ა) - ქ. თბილისის კლინიკები - საკონკურსო ადგილი - 3

2 (ბ) - ქ. ქუთაისი შპს „კლინიკა-ლჯ“ - საკონკურსო ადგილი - 1

1. **3.** „**გასტროენტეროლოგია“** - საკონკურსო ადგილი - 1
2. **4. „ენდოკრინოლოგია“** – საკონკურსო ადგილი– 8
3. **5. „ინფექციური სნეულებები“ -** საკონკურსო ადგილი - 4
4. **6. „ფთიზიატრია-პულმონოლოგია“** – საკონკურსო ადგილი – 10
5. **7. “ფიზიკური მედიცინა, რეაბილიტაცია და კურორტოლოგია“** - საკონკურსო ადგილი - 1
6. **8. „რევმატოლოგია“** – საკონკურსო ადგილი – 3
7. **9. „სპორტის მედიცინა“ -** საკონკურსო ადგილი - 5

10. „პედიატრია“ - საკონკურსო ადგილი – 14

11. „ნეონატოლოგია“ - საკონკურსო ადგილი - 2

12. „ბავშვთა ნევროლოგია“ - საკონკურსო ადგილი - 2

13. „ბავშვთა ინფექციური სნეულებები“ - საკონკურსო ადგილი - 2

14. „ბავშვთა ფთიზიატრია-პულმონოლოგია““ - საკონკურსო ადგილი - 1

1. **15. „ბავშვთა გადაუდებელი მედიცინა“ -** საკონკურსო ადგილი - 5

16. „საოჯახო მედიცინა“ - საკონკურსო ადგილი - 20
17. „დერმატო-ვენეროლოგია“ - საკონკურსო ადგილი –2
18. „ფსიქიატრია“ - საკონკურსო ადგილი – 33
მათ შორის:
18 (ა) -შ.პ.ს. **“ქ.თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი** (გლდანი) - საკონკურსო ადგილი - 5
18 (ბ) - ქ. ქუთაისი შ.პ.ს. **„ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი” -** საკონკურსო ადგილი - **9**
18 (გ) -ქ. ბათუმი შ.პ.ს. **„ბათუმის სამედიცინო ცენტრი“ -** საკონკურსო ადგილი - 11
18 (დ) - ხონი (ქუტირი) შ.პ.ს.**„ფსიქიკური ჯანმრთელობისეროვნული ცენტრი“ -** საკონკურსო ადგილი - 8
19. „ნარკოლოგია“ - საკონკურსო ადგილი - 6

1. **20. „ანესთეზიოლოგია და რეანიმატოლოგია“** - საკონკურსო ადგილი - 10

21. „ზოგადი ქირურგია“ - საკონკურსო ადგილი - 1
22. „პლასტიკური და რეკონსტრუქციული ქირურგია“ - საკონკურსო ადგილი - 1
23. „ბავშვთა ქირურგია“ - საკონკურსო ადგილი - 2

1. **24. „სისხლძარღვთა ქირურგია“ -** საკონკურსო ადგილი **- 1**
2. **25. „მეანობა–გინეკოლოგია“ –** საკონკურსო ადგილი – 8

26. „ნეიროქირურგია“ - საკონკურსო ადგილი - 1

1. **27. „უროლოგია“ –** საკონკურსო ადგილი – 1
2. **28. „ოფთალმოლოგია“**- საკონკურსო ადგილი – 4

29. „გადაუდებელი მედიცინა“ - საკონკურსო ადგილი – 10
30. „რადიოლოგია“ - საკონკურსო ადგილი - 19
31. „კლინიკური ონკოლოგია“ - საკონკურსო ადგილი - 5
32. „რადიაციული ონკოლოგია“ - საკონკურსო ადგილი – 1
33. „ბირთვული მედიცინა“ - საკონკურსო ადგილი – 1
34. „პათოლოგიური ანატომია, კლ. პათოლოგია“ -საკონკურსო ადგილი – 3
35. „სასამართლო მედიცინა“ - საკონკურსო ადგილი – 2
36. „ლაბორატორიული მედიცინა“ – საკონკურსო ადგილი – 18
მათ შორის:
36 (ა) - სპეციალობის მაძიებლები - საკონკურსო ადგილი - 16
36 (ბ) - ექიმ სპეციალისტები - საკონკურსო ადგილი - 2

1. **37. „ორთოდონტია“ -** საკონკურსო ადგილი **-** 3

პროფესორი ირაკლი ნატროშვილი

რექტორი